პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური
საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Министерства здравоохранения ГССР
и Грузинского Республиканского Совета
профсоюзов

გამოცემის მე-10 წელი

№ 76 (675) | ოთხშაბათი, 23 სექტემბერი, 1953 წ. | ფასი 30 კაპ.

უძლიერესნი უძლიერესთა შორის

საზეიმოდ მორთულ კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონის ცენტრალურ მოედანზე მწყობრი ნაბიჯით საპატიო წრე გააკეთეს ლურჯ მაისურებში გამოწყობილმა კალათბურთელებმა. მრავალრიცხოვანი მაყურებელი გულთბილად მიესალმა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს კალათბურთელთა ასპარეზობის მონაწილეებს — მოსკოვისა და თბილისის „დინამოს“ ქალთა და ვაჟთა კოლექტივებს, რომლებმაც დაძაბული ბრძოლის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს.

კალათბურთი მილიონობით საბჭოთა ახალგაზრდის საყვარელი სპორტი გახდა. კალათბურთს თამაშობენ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, კოლმეურნეობებში, ფაბრიკა-ქარხნებში, იგი უდიდესი პოპულარობით სარგებლობს აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის ქაბუკებსა და გოგონებს შორის. ამის დადასტურებაა ის, რომ სსრ კავშირის მოწინავე კალათბურთელთა კოლექტივების XX ჩემპიონატმა, რომელიც ამას წინათ დამთავრდა თბილისში, დედაქალაქის სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. შეჯიბრებას ათასობით მაყურებელი ესწრებოდა.

სსრ კავშირის XX პირველობის გათამაშებამ გვიჩვენა საბჭოთა კალათბურთის თამაშის კლასის უდავო ზრდა. გუნდები ჩინებულად მოემზადნენ პირველობისათვის, მაღალი იყო მათი ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების დონე, როგორც 1-12, ასევე 13-24 ადგილისათვის ბრძოლები უჩვეულო დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. გათამაშებაში მონაწილე 47 გუნდიდან მხოლოდ ერთმა კოლექტივმა — თბილისის „დინამომ“ შეძლო შეჯიბრების დაუმარცხებლად ჩატარება, ხოლო ქალთა შორის ჩემპიონმა მოსკოვის „დინამომ“, პირველობის ბოლო დღეს დამარცხება განიცადა ტარტუს უნივერსიტეტის სპორტული კლუბის კალათბურთელებისაგან.

თბილისის დინამოელები საუკეთესოდ მოემზადნენ ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის. ამიტომ იყო, რომ პირველობის მსვლელობაში თბილისელებმა აჩვენეს მაღალტექნიკური და ტაქტიკური თამაში, გამარჯვებისადმი ურყევი რწმენა, კოლექტიური მოქმედება.

თბილისელებმა ბრწყინვალედ გამარჯვეს ისეთ სახელმოხვეჭილ გუნდებთან, როგორიცაა მოსკოვის ცდსა და კაუნასის „ჟალგირისი“, რომლებიც პირველობის დასაწყისიდანვე თბილისელებთან ერთად მტკიცედ იბრძოდნენ სსრ კავშირის ჩემპიონის წითელი მაისურებისა და ოქროს მედლებისათვის.

ამ დიდმა გამარჯვებამ არ უნდა გამოიწვიოს ჩვენი კალათბურთელების თვითდამშვიდება, პირიქით, მათ სისტემატური მეცადინეობით კვლავაც უნდა აიმაღლონ თამაშის ტექნიკა. პირველობამ გამოავლინა, რომ გუნდებს, რომლებიც ზედმიწევნით ფლობდნენ საჯარიმო ტყორცნებს, გამარჯვების მეტი შანსები ჰქონდათ. ასე იყო თბილისის „დინამოსა“ და „ჟალგირისის“ გუნდების შეხვედრისას, როცა თამაშის პირველ ნახევარში თბილისელებმა 13 შესაძლებლიდან 6 ქულა დააგროვა, მისმა მოწინააღმდეგემ 11 შესაძლებლიდან მხოლოდ 2 ქულით გაზარდა ანგარიში. რასაკვირველია, ამან დიდად იმოქმედა შეჯიბრების მსვლელობაზე და შეხვედრა „დინამოს“ გამარჯვებით დამთავრდა.

ძლიერად ჩაატარა პირველობა თბილისის „ნაუკის“ ქალთა გუნდმა, რომელმაც გაიმარჯვა ისეთ ძლიერ მეტოქეებთან, როგორიცაა კიევის „დინამო“, მოსკოვის „ლოკომოტივი“, რიგის „დაუგავა“, ტარტუს უნივერსიტეტის გუნდი. ჩვენს ქალთა გუნდზე შეიძლება ითქვას, რომ იგი ყველა შეხვედრას თანაბარი სიძლიერით არ ატარებდა და ამიტომ იყო, რომ კოლექტივი მეხუთე ადგილზე გამოვიდა, მაგრამ ეს შედეგიც უდავოდ საპატიოა. თბილისის „ნაუკის“ ვაჟთა გუნდმა, რომელმაც წინასწარ შეხვედრებში ორი დამარცხების შემდეგ პირველ ფინალურ ჯგუფში თამაშის უფლება დაკარგა, მე-14 ადგილი დაიკავა. გუნდი, რომელიც ახლახან დაკომპლექტდა, ვერ მოქმედებდა შეთანხმებულად.

საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა გუნდების პირველობის გათამაშებამ, რომელიც მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი დიდი სპორტული ღონისძიება იყო, დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. პირველობის გათამაშების ხელმძღვანელებს თავიდანვე უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ კიროვის პარკისა და ჩოგბურთის სტადიონის მოედნები ვერ დაიტევდნენ პირველობის ნახვის ყველა მსურველს. მაყურებლით სტადიონების ზომაზე მეტად გადატვირთვა საგრძნობლად უშლიდა ხელს შეხვედრების ნორმალურ მსვლელობას. საჭიროა რესპუბლიკის დედაქალაქში აიგოს კალათბურთის დიდი სტადიონი, რაც უდავოდ შეუწყობს ხელს, როგორც მსხვილ სპორტულ ღონისძიებათა კარგად ჩატარებას, აგრეთვე მომავალი კალათბურთელების აღზრდის საქმეს.

ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელები და სპორტსმენები მხურვალედ მიესალმებიან თბილისის დინამოელებს — სსრ კავშირის 1953 წლის ჩემპიონებს.

დიადი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიურ მზრუნველობას ვუპასუხოთ მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის აღმავლობით, საკავშირო, საერთაშორისო ასპარეზობებში მოპოვებული წარმატებებით. ახალი ენერგიით ვზარდოთ მომავალი ნიჭიერი კალათბურთელები, ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების საიმედო შევსება!

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ამა წლის 19-20 სექტემბერს მიმდინარეობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. ჩხიკვაძის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

პლენუმმა აღნიშნა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ვერ უზრუნველყვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილების შესრულება, და არადამაკმაყოფილებლად ცნო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუშაობა.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო ვრცელი დადგენილება.

პლენუმმა ამხ. ა. ი. მირცხულავა გაათავისუფლა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

პლენუმმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებად აირჩია ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, დ. ზ. რომელაშვილი, ვ. მ. ჩხიკვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, ა. ი. ანტონოვი, ა. ნ. ინაური, მ. ი. კუჭავა, ო. დ. გოცირიძე და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად ამხანაგები მ. პ. გიორგაძე და ა. ლ. გუნია.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება 1953 წ. დეკემბერ-1954 წ. თებერვალში მოეწყოს პარტორგანოების ანგარიშგება და არჩევნები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ნ. შატალინმა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი, 1953 წ. 21 სექტემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. მ. ბაქრაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ამხ. ვალერიან მინას-ძე ბაქრაძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი, 1953 წ. 21 სექტემბერი.

საბჭოთა კავშირის 1953 წლის ჩემპიონები კალათბურთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათებზე: (ზევიდან ქვევით) გუნდის მწვრთნელი სპორტის ოსტატი გ. ავალიშვილი; გუნდის კაპიტანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. ქორქია, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ჯორჯიკია, სპორტის ოსტატი ვ. ქლენტი, გ. აბაშიძე, სპორტის ოსტატი ლ. ინწკირველი, სპორტის ოსტატი ა. კილაძე, (მარჯვენიდან მარცხნივ) სპორტის ოსტატი მ. ეგანოვი, სპორტის ოსტატი ჯ. ნიჟარაძე, ვ. გვანცელაძე, გ. აბაშიძე და გ. მინაშვილი.

• • •

კალათბურთელთა XX საკავშირო ჩემპიონატის მიმოხილვა იხილეთ მეორე გვერდზე.

დიდი გამარჯვება

ЧЕМПИОН СССР

სპორტული ოსტატობის შემდგომი ზრდა

თბილისის „დინამოს“ და ერევნის „ისკრის“ ვაჟთა გუნდების შეხვედრით დამთავრდა კალათბურთელთა XX საკავშირო ჩემპიონატი. ორი კვირის განმავლობაში მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსმენთა კოლექტივები ენერგიის დაუზოგავად, ძალების მაქსიმალური დაძაბვით იბრძოდნენ ჩემპიონის ოქროს მედლებისათვის. სატურნირო ცხრილში საპატიო ადგილის მოპოვებისათვის. შეჯიბრებამ, რაც მთავარია, ხელი შეუწყო კალათბურთელთა სპორტული ოსტატობის შემდგომ ზრდა-განვითარებას. ეს განსაკუთრებით ადვილი დასანახაა ალმა-ატის „ისკრის“ კალათბურთელთა მაგალითზე. გუნდი, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდა თბილისში უკვე პოპულარული ვ. ახტაევი, შეხვედრიდან შეხვედრამდე აუმჯობესებდა თამაშის კლასს და ჩემპიონატის ბოლო დღეებში ყველა გუნდისათვის საშიშ მეტოქეს წარმოადგენდა.

ჩემპიონატის მსვლელობაში სპორტის მოყვარულთა მთელი ყურადღება გადატანილი იყო იმაზე, შეძლებდნენ თუ არა გასული წლის ჩემპიონები მოსკოვის ცდსა და „სტროიტელი“ საპატიო ტიტულის შენარჩუნებას? და თუ არა, ვინ იქნებოდა ოქროს მედლების მფლობელი. როგორც ვაჟთა ისე ქალთა გუნდებს შორის პირველი ადგილის პრეტენდენტთა სიმრავლემ კიდევ უფრო მეტად საინტერესო და დაძაბული გახადა ბრძოლა.

მოედანზე იყო მონოლითური კოლექტივი

მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამომ“ დაამარცხა გასული წლის ჩემპიონი, საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდი, ნათელი გახდა, რომ პირველობის ბედი თბილისის „დინამოსა“ და კაუნასის „ჟალგირისს“ შორის უნდა გადაწყვეტილიყო.

ჩვენი ქვეყნის ორი პირველხარისხოვანი გუნდის შეხვედრა ჩემპიონატში უდავოდ ყველაზე საინტერესო და შინაარსიანი იყო. ლიტველი სპორტსმენები მოულოდნელობას წააწყდნენ შეხვედრის პირველსავე წუთზე. როდესაც „ჟალგირისის“ წარმომადგენლებმა ჩაიგდეს ბურთი ხელთ და შეუტიეს თბილისელთა ფარს, აღმოჩნდა, რომ „დინამოს“ დაცვაში ზონური ტაქტიკა აურჩევია. ამან თბილისის გუნდი თავიდანვე ხელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენა, რადგან ფარს მთლიანად დაეპატრონნენ ქორქია, აბაშიძე და ჯორჯიკია. „ჟალგირისს“, იმისათვის, რომ მოეგო თამაში, უნდა დაერღვია თბილისელთა ზონა, არევ-დარევა შეეტანა მათ დაცვაში, რაც მათ ვერ შეძლეს, რადგან „დინამოს“ ყველა მოთამაშე ფხიზლად დარაჯობდა თავის სექტორს. როდესაც თბილისელთა ფარის მისადგომები ლიტველი კალათბურთელებისათვის სავსებით ჩაიკეტა, წარმატების მიღწევა მათ შორი მანძილიდან სროლებით სცადეს (რაც „ჟალგირისის“ კალათბურთელებს კარგად აქვთ დამუშავებული), მაგრამ ბუტაუტასის, ლაგუნავიჩუსისა და სტონკუსის ნასროლმა ბურთებმა მიზანს ვერ მიაღწიეს.

შეხვედრის ბედი განაპირობა იმანაც, რომ „ჟალგირისმა“ არასწორად გადაწყვიტა მოთამაშეთა „აყვანის“ საკითხი. აგრესიულ ჯორჯიკიას მცველად მიუჩინეს სტონკუსი, ხოლო აბაშიძეს — ბუტაუტასი, ამით ლიტველთა პირველი შეტევა საგრძნობლად შესუსტდა. როგორც თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ მებრძოლი ყველა გუნდის, ისე კაუნასის „ჟალგირისის“ მთავარი ამოცანა თბილისელთა ლიდერის ო. ქორქიას ნეიტრალიზება იყო. მას რამდენიმე კაცი დარაჯობდა. დინამოელებმა წარმატებით გამოიყენეს ამით გამოწვეული რიცხვობრივი უპირატესობა და მუდმივი საშიშროების ქვეშ ჰყავდათ ლიტველთა ფარი. თამაშის ბედზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კაუნასელთა მიერ ჯარიმების გამოუყენებლობამ. შეხვედრის პირველ ნახევარში თერთმეტი საჯარიმო სროლიდან მათ მხოლოდ ორი ბურთი ჩააგდეს. თუ რამდენად დაძაბული იყო თამაში, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ პირველი ნახევარი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 14:3. ორი პირველხარისხოვან გუნდის შეხვედრისას ასეთი ანგარიში იშვიათია. მეორე ნახევრის დასაწყისიდანვე ნათელი გახდა, რომ „დინამოს“ კალათბურთელებმა მოახერხეს თამაშის გარდატეხა და ახლა საჭირო იყო მხოლოდ ანგარიშის შენარჩუნება. ეს მათ წარმატებით განახორციელეს და საპასუხისმგებლო შეხვედრა მოიგეს — 52:43.

როცა მოწინააღმდეგის ძალა ჯეროვნად ვერ შეაფასეს

უკანასკნელი მატჩი თბილისის დინამოელებს ერევნის „ისკრის“ კალათბურთელებთან ჰქონდათ. ერევნელი სპორტსმენები, რომლებიც თამაშის კლასით საგრძნობლად ჩამორჩებიან თბილისის „დინამოს“, მთელი სერიოზულობით მოეკიდნენ ამ შეხვედრას, რასაც ვერ ვიტყვით დინამოელებზე, რომლებიც თვითდამშვიდებას მიეცნენ, ჯეროვნად არ შეაფასეს მოწინააღმდეგის ძალა. თამაშის დამთავრებას ოთხი წუთი აკლდა, როდესაც „ისკრის“ გუნდმა ორი ქულით წაიყვანა ანგარიში და მხოლოდ გამოცდილებამ და გამარჯვებისადმი ურყევმა სწრაფვამ საშუალება მისცა თბილისის გუნდს მოეგო ეს ძნელი შეხვედრა.

წაუგებლად ჩაატარა რა მთელი ჩემპიონატი თბილისის „დინამომ“ დამსახურებულად მოიპოვა პირველი ადგილი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება. დინამოელთა გამარჯვება უდავოდ კანონზომიერია. გუნდი, რომლის შემადგენლობაშია ჩვენი ქვეყნის უძლიერესი კალათბურთელები, სპორტის დამსახურებული ოსტატები ქორქია და ჯორჯიკია, სპორტის ოსტატები ქღენტი, ინწკირველი, კილაძე და სხვები, კალათბურთის საბჭოური სკოლის ბრწყინვალე თვისებების მატარებელია.

მაყურებელი აღტაცებაში მოდიოდა დინამოელთა ელვისებური, თავბრუდამხვევი პირველი შეტევით, სადაც განსაკუთრებით აქტიურები იყვნენ ინწკირველი, ქღენტი, ჯორჯიკია. პირველი შეტევა თბილისელებს საშუალებას აძლევდა ერთდროულად რიცხვობრივი უპირატესობა შეექმნათ მოწინააღმდეგის ნახევარზე, რაც ხშირად ორი ქულით მთავრდებოდა. იმ შემთხვევაში თუ დინამოელები ვერ აღწევდნენ მიზანს, გადადიოდნენ მეორე ე. წ. კომბინაციურ შეტევაზე. აქ კი „ფარის მფლობელები“ ქორქია და აბაშიძე იკავებდნენ ადგილს მოწინააღმდეგის კალათის ქვეშ და ტაქტიკური იერიშებით არღვევდნენ მათ დაცვას.

მრავალფეროვანი იყო აგრეთვე დინამოელთა თავდაცვაც. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ერთსადაიმავე მატჩში თბილისის „დინამო“ იყენებდა დაცვის რამდენიმე ვარიანტს: თავდაცვა „ერთი-ერთზე“, ზონალური და ჯგუფური დაცვა. თუ როგორი მნიშვნელობა აქვს დაცვის ვარიანტების საჭიროებისამებრ გამოყენებას ერთ შეხვედრაში, ეს გვიჩვენა თბილისელთა მატჩმა მოსკოვის ცდსა-სთან, რომელშიც დინამოელები მორიგეობით იყენებდნენ ჯგუფურ და „ერთი-ერთზე“ თავდაცვას. ხოლო ზონალური დაცვის საუკეთესო მაგალითი იყო მათი შეხვედრა კაუნასის გუნდთან.

კალათბურთში XX საკავშირო პირველობის საბოლოო შედეგები

ვაჟები

1. „დინამო“ (თბილისი), 2. ცდსა (მოსკოვი) 3. „ჟალგირისი“ (კაუნასი), 4. ოფიცერთა სახლი (რიგა), 5. „დინამო“ (მოსკოვი), 6. „სპარტაკი“ (მოსკოვი), 7. „კალევი“ (ტალინი), 8. „ნაუკა“ (ლენინგრადი), 9. ოფიცერთა სახლი (კიევი), 10. „ნაუკა“ (კიევი), 11. ოფიცერთა სახლი (როსტოვი), 12. „ისკრა“ (ერევანი), 13. „ისკრა“ (ალმა-ატა), 14. „ნაუკა“ (თბილისი), 15. ოფიცერთა სახლი (ლენინგრადი), 16. „ზენიტი“ (სვერდლოვსკი), 17. „ნაუკა“ (კიშინიოვი), 18. „ისკრა“ (მინსკი), 19. „ნაუკა“ (ბაქო), 20. „ნაუკა“ (ტაშკენტი), 21. ლენინაბადი, 22. „სპარტაკი“ (ფრუნზე), 23. „ნაუკა“ (პეტროზავოდსკი), 24. „ნაუკა“ (აშხაბადი).

ქალები

1. „დინამო“ (მოსკოვი), 2. „ნაუკა“ (მოსკოვი), 3. „ისკრა“ (ლენინგრადი), 4. „სტროიტელი“ (მოსკოვი), 5. „ნაუკა“ (თბილისი), 6. უსკ-ა (ტარტუ), 7. „დაუგავა“ (რიგა), 8. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), 9. „ჟალგირისი“ (კაუნასი), 10. „სპარტაკი“ (ლენინგრადი), 11. „დინამო“ (კიევი), 12. „ისკრა“ (ერევანი), 13. „სტროიტელი“ (ხარკოვი), 14. „ისკრა“ (მინსკი), 15. „დინამო“ (კიშინიოვი), 16. „ისკრა“ (ბაქო), 17. „დინამო“ (კაზანი), 18. „ისკრა“ (კაზანი), 19. „მედიკი“ (პეტროზავოდსკი), 20. „დინამო“ (ტაშკენტი), 21 „ისკრა“ (ალმა-ატა), 22. „ნაუკა“ (სტალინაბადი), 23. „სპარტაკი“ (ფრუნზე).

ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელნი

გათამაშებაში მეორე ადგილზე გამოვიდა გასული წლის ჩემპიონი მოსკოვის ცდსა, რომელმაც უკანასკნელ დღეს დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა კაუნასელი კალათბურთელები. თუ თბილისის „დინამოსთან“ შეხვედრაში არმიელი სპორტსმენები პირველ ნახევარშივე შეეგუენ წაგებას, კაუნასის „ჟალგირისთან“ იგებდნენ რა თამაშს 9 ქულით, გამოიჩინეს მტკიცე ნებისყოფა და მიაღწიეს დამსახურებულ მოგებას — 72:55. მიუხედავად იმისა, რომ ცდსას შემადგენლობაში არიან ჩვენი ქვეყნის უძლიერესი კალათბურთელები — კონევი, სილინში, მოისეევი და სხვები—მათ თამაშში არ იგრძნობოდა კოლექტიურობა და გუნდმა ჩემპიონატი გასულ წელთან შედარებით სუსტად ჩაატარა.

უნდა აღინიშნოს, რომ არმიელ სპორტსმენებს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს ნაკლებად გამოცდილმა რიგისა და კიევის ოფიცერთა სახლის გუნდებმა. ცდსა-ს გუნდმა, რომელიც ყველა შეხვედრას შორიდან სროლაზე აგებდა, არ გამოიყენა ერთ დროს მისთვის დამახასიათებელი კომბინაციური თამაში. არმიელები მოისუსტებდნენ დაცვაშიც. განსაკუთრებით ეს ითქმის სილინშზე, ალექსეევზე და მოისეევზე. ხოლო ფარზე მუშაობა მინდობილი ჰქონდა კონევს, რომელმაც ვერ შეძლო ამ რთული ამოცანის წარმატებით გადაჭრა.

ჩემპიონატში მესამე ადგილი მოიპოვა კაუნასის „ჟალგირისის“ ძლიერმა კოლექტივმა. ლიტველ სპორტსმენებს შეეძლოთ უკეთესი ადგილის დაკავება, მაგრამ ამაში მათ ხელი შეუშალა ძირითადი საბრძოლო ხუთეულის ჩამოუყალიბებლობამ. ცდსა-სთან კაუნასელთა მწვრთნელის სერცაავიჩუსის უსაფუძვლო ექსპერიმენტმა გადაწყვიტა მეორე საპრიზო ადგილის ბედი. ორ საპასუხისმგებლო შეხვედრაში თბილისის „დინამოსთან“ და ცდსა-სთან სხვადასხვა შემადგენლობის გამოყვანა ჩვენის აზრით გაუმართლებელი იყო.

ჩემპიონატში ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა რიგის ოფიცერთა სახლის გუნდმა. მეოთხე ადგილი ამ ახალგაზრდული კოლექტივისათვის უდავოდ დიდი გამარჯვებაა. რიგის გუნდის შემადგენლობა მთლიანად ახალგაზრდულია, სადაც განსაკუთრებით მაღალი ტექნიკური თამაშით გამოირჩეოდა კარნიტისი და ვალდმანისი. ლატვიელი კალათბურთელები ერიდებოდნენ სწრაფ თავდასხმას და მოწინააღმდეგის მოედანზე ბურთის ნელი გადატანით პირდაპირ იწყებდნენ მეორე შეტევას. მოსკოვის „დინამოს“ ვაჟთა გუნდი ასპარეზობაში გამოვიდა მეხუთე ადგილზე. ეს ახალგაზრდული, პერსპექტივის მქონე გუნდი თანაბარი სიძლიერით ვერ ატარებდა შეხვედრებს, რამაც უდავოდ გავლენა იქონია მათ შედეგზე.

ჩემპიონი ქალთა გუნდებში

ქალთა გუნდებს შორის საპატიო პირველი ადგილი მოიპოვა მოსკოვის „დინამომ“. მართალია უკანასკნელ დღეს მან შეხვედრა წააგო ტარტუს კალათბურთელებთან, მაგრამ ამას გავლენა არ მოუხდენია მათ საერთო შედეგზე. მოსკოვის „დინამოს“ ქალთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან ჩვენი ქვეყნის წამყვანი კალათბურთელები: ზარკოვსკაია, მაქსიმილიანოვა, მაქსიმოვა და სხვა, უდავოდ უძლიერესია. გუნდი თანაბარი ძალით თამაშობდა, როგორც დაცვაში, ისე თავდასხმაში. განსაკუთრებით კარგად ჰქონდათ დამუშავებული შეტევა და შორიდან სროლები. ძლიერად მოქმედებდა ფარქვეშ გუნდის ცენტრი — მაქსიმილიანოვა.

უკანასკნელი დღისათვის გაურკვეველი იყო თუ ვინ გადიოდა მეორე ადგილზე ქალთა გუნდებს შორის. მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის და „სტროიტელის“ კოლექტივებს თანაბარი შანსი ჰქონდათ ვერცხლის მედლების მოსაპოვებლად. ამ გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვა საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა და გათამაშებაში მეორე ადგილი დაისაკუთრა. მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდა ლენინგრადის „ისკრის“ მზარდი კოლექტივი.

თბილისის „ნაუკის“ ქალთა კოლექტივი გათამაშებაში გამოვიდა მეხუთე ადგილზე. ეს ახალგაზრდა კალათბურთელთა მიღწევაა. გუნდმა მთელი რიგი თამაშები მაღალ დონეზე ჩაატარა და დაამარცხა ძლიერი კოლექტივები: რიგის „დაუგავა“, ტარტუს უსკ, მოსკოვის „ლოკომოტივი“ და სხვ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თბილისელ კალათბურთელებს მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ, რაც მათ ვერ გამოიყენეს.

ძლიერად ჩაატარა ჩემპიონატი თბილისის „ნაუკის“ თავდასხმის ცენტრმა ვ. გნიოტოვამ, რომლის იერიშების ნეიტრალიზება პრობლემა იყო ყველა გუნდისათვის.

XX საკავშირო ჩემპიონატმა გვიჩვენა კალათბურთელთა ოსტატობის შემდგომი ზრდა, გუნდების ტექნიკურ-ტაქტიკური სრულყოფა. გამოვლინდა ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომლებიც მოკლე ხანში მხარს დაუმშვენებენ კალათბურთის გამოჩენილ ოსტატებს და მათთან ერთად იბრძოლებენ სპორტის ამ სახეობის შემდგომი განვითარებისათვის.

მ. კეკელიძე,
სპორტის ოსტატი,
ნ. გუგუშვილი

სურათზე: საბჭოთა კავშირის ჩემპიონი—მოსკოვის „დინამოს“ კალათბურთელ ქალთა გუნდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო შეხვედრა

გადამწყვეტი ბურთი გონგის შემდეგ

„დინამო“ (თბილისი) — რუმინეთი (ნაკრები)

რუმინეთის რესპუბლიკის ფეხბურთელები სამართლიანად ითვლებიან ერთ-ერთ საუკეთესოდ ევროპაში. ომისშემდგომი წლების განმავლობაში ამ ქვეყანაში ფეხბურთმა დიდი აღმავლობა განიცადა, იგი ნამდვილად მასობრივი, სახალხო გახდა.

რუმინეთის ნაკრები გუნდი ხშირად ატარებს საერთაშორისო ამხანაგურ და სატურნირო შეხვედრებს და მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევს. რუმინელებს დამარცხებული ჰყავთ ჩეხოსლოვაკიის, ალბანეთის, პოლონეთის, ავსტრიის, საფრანგეთის გუნდები. ამას წინათ დამთავრებულ ფესტივალზე მათ მხოლოდ უნგრეთის გუნდთან (3.4) წააგეს და მეორე ადგილი დაიკავეს.

გუშინ, 22 სექტემბერს, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდმა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარა თბილისის „დინამოსთან“.

გუნდები მოედანზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: რუმინეთი — ტომა, ანდროვიჩი, აპოლზანი, სეკე, ქელინოიუ, სიორფიოზე, ზავოდა, პეტშოვსკი, ენე, ნიკუშორი, სურუ. „დინამო“ — მარღანია, ელოშვილი, რუსაძე, კუბლაშვილი, მახარაძე, ანთაძე, კოტრიკაძე, გ. გოგნიძე, კალოევი, ლოლობერიძე, ჭკუასელი.

სრულ 17 საათზე საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ნ. ჩხატარაშვილმა მისცა პირველი ნიშანი და ენემ ბურთი თამაშში შეიყვანა. დინამოელებმა მაშინვე სცადეს იერიშის მიტანა. ჯერ კალოევი გაიჭრა წინ, შემდეგ ელოშვილი შევიდა თავდამსხმელთა ტერიტორიაზე, მაგრამ აპოლზანმა და ნიკუშორმა სწრაფად შესძლეს იერიშის ლიკვიდაცია და ბურთი მარცხენა ფრთაზე გადასცეს სურუს, რომელიც თითქმის პირით ხაზამდე მივიდა. წამის შემდეგ კალოევი კარგად გავიდა მარჯვენა მხრიდან და კარს მიახლოვებულმა ძლიერად დაარტყა. ტომამ სწორად შეარჩია ადგილი და ბურთი აიღო.

პირველი ათი წუთის განმავლობაში რამდენადმე მნიშვნელოვანი უპირატესობა არცერთ გუნდს არ ჰქონდა. ურთიერთ იერიშების დროს ხან „დინამოს“ თავდამსხმელები გამოჩნდებოდნენ სტუმრების კართან, ხან რუმინელები გადაინაცვლებდნენ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე.

პირველი რეალური საფრთხე რუმინეთის გუნდის კართან შეიქმნა. ჯერ ლოლობერიძემ ზუსტად გაიყვანა გარღვევაზე გაგნიძე, რომლის ძლიერად დარტყმული ბურთი შესანიშნავი ნახტომით აიღო ტომამ, მერე ლოლობერიძემ თვითონ „მოსინჯა“ რუმინელთა მეკარე და თავს ზემოთ დაუპირა ბურთის გადაგდება. ტომამ კვლავ ოსტატურად აიღო ძნელი ბურთი.

დაწყებითი, სადებიუტო სვლების შემდეგ თანდათან ცხადი გახდა ორივე გუნდის ტაქტიკური სქემა. სტუმრები ძირითადად მოკლე, ხშირი გადაცემებით თამაშობდნენ, მოთამაშეები კომბინაციის განხორციელებისას მოკლე მანძილზე უახლოვდებიან ერთმანეთს, ზუსტად აწვდიან ბურთს და მთავარ შეტევას 2-3 თავდამსხმელის ჯგუფით აწარმოებენ. რუმინელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა პეტშოვსკი. მაღალტექნიკური, ფიზიკურად ძლიერი, სწრაფი პეტშოვსკი უნარიანად განაგებდა თავისი გუნდის შეტევებს, მოძრაობდა მოედნის მთელ სიგანეზე, ყოველთვის დროზე, ზუსტად და შეუცდომლად ანაწილებდა ბურთებს. ენერგიულად, აგრესიულად თამაშობდა ენე, ფლანგებზე სახიფათო გარღვევებს ახორციელებდნენ ზავოდა და სურუ. ეფექტურად, ნაყოფიერად თამაშობდნენ ნახევარმცველები ქელინოიუ და სიორფიოზე. დაცვაში საიმედოდ, მშვიდად მოქმედებდნენ მცველები ანდროვიჩი, აპოლზანი, სეკე.

დინამოელებმა გრძელი გადაცემები აირჩიეს. მცველები ხშირად აწოდებდნენ მაღალ, შორეულ გადაცემებს წინ სწრაფად გადაადგილებულ თავდამსხმელებს, რომლებიც ბურთის ტარების გარეშე, მაშინვე ცდილობდნენ კომბინაციის დამთავრებას, მაგრამ რამდენიმე შორიდან დარტყმული ბურთი აცდა კარს.

ანგარიში თბილისელებმა გახსნეს. ლოლობერიძემ საჯარიმო დარტყმიდან ბურთი ჭკუასელს გადასცა, ხოლო ამ უკანასკნელმა იგი ძლიერად გაგზავნა კარში. ტომამ მხოლოდ ბადეში მოუსწრო ბურთს — 1:0.

სტუმრებმა მარცხს ხანგრძლივი იერიშით უპასუხეს. რუმინელები კარგად ახერხებდნენ რიცხვობრივი უპირატესობის შექმნას როგორც თავდასხმაში, ისე დაცვაში, რაც მათ საშუალებას აძლევდა ხანგრძლივი შეტევა ეწარმოებინათ. კვლავ ბრწყინვალედ თამაშობდა პეტშოვსკი, რომლის იერიშების უვნებელყოფისათვის ანთაძეს მეტწილად დაცვაში უხდებოდა თამაში. წინ არც მეორე ნახევარმცველი — მახარაძე გადიოდა. ამის გამო თბილისელთა თავდამსხმელებმა დაჰკარგეს კონტაქტი ზურგთან და მათი თამაშიც გაუფერულდა.

პირველი ტაიმის დასასრულამდე „დინამომ“ კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა, ორჯერ კარგად გავიდა ლოლობერიძე, ერთხელ შორიდან მოულოდნელად დაარტყა ჭკუასელმა, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა.

თამაშის მეორე ნახევარი თბილისელებმა ისევე დაიწყეს, როგორც პირველი—შეტევით მარჯვენა ფრთიდან, მაგრამ სეკემ აკრძალული ფანდით დააკავა კოტრიკაძე. ლოლობერიძემ საჯარიმო დარტყმიდან ბურთი შორს გადააწოდა ანთაძეს, რომელმაც შეუჩერებლივ ძლიერად დაარტყა კარში. ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს. პირველი 5 წუთის განმავლობაში ლოლობერიძე ორჯერ გავიდა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ კომბინაცია ვერ დაამთავრა — პარტნიორები ყველა „დახურულნი“ აღმოჩნდნენ.

რუმინელებმა ზუსტი ურთიერთმოქმედებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის იერიშები და თბილისელთა ნახევარზე გადმოინაცვლეს. პირველი ტაიმისგან განსხვავებით, მათი თავდამსხმელები გრძელი გადაცემებით გადიოდნენ წინ. სწრაფად, შეუჩერებლივ და მოფიქრებულად წარმართავდნენ იერიშებს.

29-ე წუთზე მარღანიამ წამით დასტოვა კარი და რუსაძემ ცარიელი კარიდან გამოიტანა სურუს მიერ თავით დარტყმული ბურთი. წუთის შემდეგ სტუმრებმა მარჯვენა ფრთიდან კუთხური მოაწოდეს. კარის წინ მრავალი მოთამაშე შეჯგუფდა და შექმნილ არეულობაში ენემ შესძლო დაბალი ბურთის გაგზავნა კუთხეში. ანგარიში გათანაბრდა — 1:1.

ამის შემდეგ ინიციატივა არსებითად რუმინელთა მხარეს გადავიდა. „დინამოს“ მცველები მოფიქრებული თამაშის ნაცვლად უსისტემოდ, უმისამართოდ იგერიებდნენ ბურთს, არ ზრუნავდნენ თავდამსხმელებთან საჭირო ურთიერთობის დამყარებაზე. ხოლო თავდამსხმელები უმოქმედოდ შესცქეროდნენ თუ რა ხდებოდა თავიანთ საჯარიმო მოედანზე.

გაისმა გონგის ხმა. სტუმრებმა მარჯვენა მხრიდან მოაწოდეს ბურთი კარის წინ ენე წამით დარჩა ღია, მიიღო ბურთი თავით და მეორე, გადამწყვეტი ბურთი მოათავსა თბილისელთა კარის ბადეში.

ამხანაგური საერთაშორისო მატჩი რუმინეთის ნაკრებ გუნდსა და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს შორის დამთავრდა რუმინეთის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

რ. ქორიძე

„ბ“ კლასის ფინალში

გორკი. (ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან). გორკის სპორტულ საზოგადოებრიობაში დიდ ინტერესს იწვევს „ბ“ კლასის 6 უძლიერესი გუნდის ტურნირი. „შახტიორი“ (სტალინო), „ტორპედო“ (გორკი), „დინამო“ (ერევანი), „დინამო“ (მინსკი), „ზნამია“ (ივანოვო) და „სპარტაკი“ (თბილისი) თავის ქვეჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გამოვიდნენ და ახლა „ა“ კლასში გადასვლის უფლების მოსაპოვებლად ერთმანეთს ხვდებიან.

წარმატებით დაიწყო გათამაშება გორკის „ტორპედომ“. ტორპედოელებმა პირველი მატჩი თბილისის „სპარტაკთან“ ჩაატარეს და მოწინააღმდეგე დაამარცხეს ანგარიშით 2:0. შემდეგ გორკელები შეხვდნენ ივანოვოს „ზნამიას“ და კვლავ გაიმარჯვეს — 3:1.

ერევნის „დინამომ“ ორი თამაში ფრედ დაამთავრა, როგორც მინსკის „დინამოსთან“, ისე თბილისის „სპარტაკთან“ ანგარიში 0:0 იყო.

მეტად საინტერესო გამოდგა მინსკის „დინამოს“ შეხვედრა „შახტიორთან“ (სტალინო). დინამოელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ეგოროვმა გაიტანა ერთადერთი ბურთი, რომელმაც მატჩის ბედი მინსკის გუნდის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

მეორე დამარცხება განიცადა ივანოვოს „ზნამიამ“, რომელმაც წააგო „შახტიორთან“ — 0:2.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა თბილისის სპარტაკელთა მატჩი „შახტიორთან“. დონბასელმა ფეხბურთელებმა შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 2:1.

21 სექტემბერს თბილისის „სპარტაკმა“ მორიგი შეხვედრა ჩაატარა მინსკის „დინამოსთან“. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 4:0 მინსკელთა სასარგებლოდ.

მსოფლიოს ფეხბურთის მოედნებზე

ამას წინათ კრაკოვში ერთმანეთს შეხვდნენ პოლონეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი „გვარდია“ (კრაკოვი) და „კინიჟი“ (უნგრეთი). თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა „გვარდიის“ სასარგებლოდ ანგარიშით 2:0. შემდეგ უნგრელებმა გაქვითეს ორი ბურთი და შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2. მეორე თამაში უნგრელებს ჰქონდათ „უნიასთან“ და მოიგეს ანგარიშით 2:1.

უნგრეთის ფეხბურთელთა გუნდმა „ვაშაშმა“ ფრედ (0:0) დაამთავრა შეხვედრა სოფიის ნაკრებთან და ანგარიშით 0:2 წააგო ბულგარეთის არმიელ ფეხბურთელებთან

დიდი ინტერესი გამოიწვია ბუქარესტის ნაკრები გუნდის შეხვედრამ უნგრეთის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან „ბაშტია“. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს რუმინელებმა. მათ აგრეთვე დაამარცხეს ავსტრიის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი „ადმირა“ — 4:1.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულმა ნაკრებმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდი ანგარიშით 1:0.

სტოკჰოლმი. დამთავრდა შვეციის თასის გათამაშება ფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ წრევანდელი ჩემპიონი „მალმე“ და გასული წლის ჩემპიონი „ნორჩეპინგი“. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვა „მალმემ“.

სტამბოლი. თურქეთისა და იუგოსლავიის ნაკრები ეროვნული გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

ათინა. საერთაშორისო შეხვედრა იტალიისა და საბერძნეთის ნაკრებ გუნდებს შორის დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

ოსლო. „ბიშლეტის“ სტადიონზე გაიმართა მატჩი მსოფლიო პირველობაზე (პირველი წრის შეხვედრა). ნორვეგიის ეროვნულმა ნაკრებმა განიცადა დამარცხება საარის ფეხბურთელებისაგან. ანგარიშია 2:3.

ჰაიტი. მსოფლიო ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრა მექსიკისა და ჰაიტის ნაკრებ გუნდებს შორის დამთავრდა მექსიკელთა გამარჯვებით ანგარიშით 8:0.

გათამაშების ცხრილები

საბოლოო მდგომარეობა

„ა“ კლასი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ მ.	20	11	7	2	47:15	29
„დინამო“ თბ.	20	11	5	4	39:24	27
„ტორპედო“	20	11	3	6	34:34	25
„დინამო“ მ.	20	8	7	5	34:19	23
„ზენიტი“ ლ.	20	11	1	8	25:21	23
„ლოკომოტ.“ მ.	20	6	6	8	21:28	18
„ზენიტი“ კბ.	20	6	5	9	22:25	17
„დინამო“ კ.	20	6	5	9	21:26	17
„ლოკომოტ“. ხ.	20	6	4	10	19:34	16
„დინამო“ ლ.	20	5	4	11	20:33	14
„სპარტაკი“ ვ.	20	2	7	11	10:33	11

დუბლშემადგენლობა

„სპარტაკი“ მ.	20	15	2	3	40:13	32
„ლოკომოტ.“ მ.	20	10	6	4	34:22	26
„დინამო“ კ.	20	7	7	6	27:21	21
„ტორპედო“	20	8	5	7	24:23	21
„სპარტაკი“ ვ.	20	8	4	8	26:24	20
„დინამო“ მ.	20	8	4	8	21:21	20
„დინამო“ ლ.	20	6	8	6	21:24	20
„ლოკომოტ.“ ხ.	20	8	3	9	31:34	19
„ზენიტი“ კბ.	20	6	5	9	19:31	17
„დინამო“ თბ.	20	4	7	9	19:30	15
„ზენიტი“ ლ.	20	3	3	14	24:43	9

„დინამო“ (მოსკოვი) — „რუმინეთი“ (ნაკრები)

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდმა პირველი ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა სსრ კავშირში მოსკოვის „დინამოსთან“ ჩაატარა.

თამაშის დაწყებიდან სულ 5 წუთი იყო გასული, როცა სალნიკოვმა ანგარიში გახსნა ახლო მანძილიდან ზუსტი დარტყმით.

დინამოელები კარგა ხანს უტევდნენ მოწინააღმდეგეს, მაგრამ რუმინელთა დაცვა წარმატებით იგერიებდა მოსკოველთა იერიშებს. შემდგომში ინიციატივა ხელთ იგდეს სტუმრებმა და „დინამოს“ დაცვას მოუხდა სრული დატვირთვით მუშაობა. 37-ე წუთზე ბესკოვმა მეორე ბურთი გაიტანა. სულ მალე რუმინელმა ენემ ერთი ბურთი გაქვითა — 1:2.

მეორე ტაიმის პირველივე წუთზე შაბროვის დარტყმის შემდეგ ანგარიში 3:1 გახდა, რაც შემდეგ აღარ შეცვლილა.

სსრ კავშირის თასზე

მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ „ტორპედო“ (მოსკოვი) და „ზენიტი“ (ლენინგრადი). თამაშის პირველ წუთებზე ანგარიში გახსნა ტორპედოელმა სოლოვიოვმა. მეორე ტაიმში ვაცკევიჩმა და საფრონოვმა ანგარიში სამამდე გაზარდეს. ზენიტელებმა მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლეს საჯარიმო დარტყმიდან ერთი საპასუხო ბურთის გატანა (გარტვიგი). შეხვედრა მოიგო „ტორპედომ“ ანგარიშით 3:1.

21 სექტემბერს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის დინამოელები. 90 წუთის დაძაბული ბრძოლის შემდეგ ანგარიში იყო ფრე—2:2. გათამაშების წესის თანახმად დაინიშნა დამატებითი დრო 30 წუთი, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო უპირატესობის მოპოვება.

გუშინ აღნიშნული გუნდები ხელმეორედ შეხვდნენ. გაიმარჯვეს მოსკოველებმა (3:0). ამავე დღეს მოსკოვის „ლოკომოტივმა“ (1:0) დაამარცხა თავისი ხარკოველი თანაკლუბელები.

27 სექტემბერს თბილისის დინამოელები კიევის „დინამოს“ შეხვდებიან მატჩი მოსკოვში ჩატარდება.

ე. ბიკოვა — მსოფლიო ჩემპიონი

МАСТЕР
Е БЫКОВА
МОСКВА

მეთერთმეტე პარტიაში რუდენკომ (თეთრები) ლაზიერის პაიკის დებიუტი აირჩია და იერიში განავითარა მეფის ფრთაზე. მე-16 სვლაზე რუდენკოს ჰქონდა შესაძლებლობა ეტლის შეწირვით პარტია მოეგო. მაგრამ არასწორად ითამაშა და შავებს იერიშის დაწყების შესაძლებლობა მისცა. ბიკოვამ შესანიშნავად ჩაატარა პარტიის ეს ნაწილი, მოიგო ფიგურა და მალე პარტიაც

მეთორმეტე პარტიაში თეთრებით ბიკოვა თამაშობდა. შეხვედრა მიმდინარეობდა დაძაბულად. 30 სვლის შემდეგ დაფაზე მხოლოდ ერთი პაიკი იყო გაცვლილი. თეთრების იერიში მეფის ფრთაზე ენერგიულად ხორციელდებოდა. ცდილობდა რა მდგომარეობის გაუმჯობესებას, რუდენკომ მძიმე ფიგურების გაცვლა დაიწყო, რის შედეგადაც ბიკოვამ მოიგო ორი პაიკი და პარტია მოსაგებ მდგომარეობაში გადადო. რუდენკომ ეს პარტია თამაშის განუახლებლად დათმო.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მატჩის მეცამეტე პარტიამ, ბიკოვასათვის მატჩში გასამარჯვებლად საკმარისი იყო ნახევარი ქულა. მოწინააღმდეგეებმა ფრანგული პარტია გაითამაშეს. 31-ე სვლაზე ბიკოვამ შეძლო მოწინააღმდეგის მეფის დაშმათება.

მატჩის უკანასკნელი მეთოთხმეტე პარტიის გათამაშებისას დაფაზე მანევრული ბრძოლა გაჩაღდა. ბიკოვა პარტიის გამარტივებას ცდილობდა. პარტია გადადებულ იქნა თანაბარ პოზიციაში. შემდეგ ბიკოვამ მე-60 სვლაზე აიძულა რუდენკო დანებებულიყო.

ამგვარად, მატჩი დამთავრდა 8:6 ბიკოვას სასარგებლოდ. ხალხმრავალი დარბაზი გულთბილად მიესალმა მსოფლიოს ახალ ჩემპიონს. მთავარმა მსაჯმა ინდერსონმა გამარჯვება მიულოცა ბიკოვას. ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ვ. რაგოზინმა გამარჯვებულს გადასცა თასი და დაფნის გვირგვინით შეამკო.

საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა

ათ დღეზე მეტია, რაც ლენინგრადში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა ჭადრაკში. მონაწილეობს 17 გუნდი. ორ ქვეჯგუფში გამარჯვებულმა 4-4 გუნდმა შეადგინა ფინალი. პირველი ჯგუფიდან ფინალში გავიდა ლენინგრადის, რსფსრ-ს და ლატვიის გუნდები. მეოთხე გამარჯვებულს გამოარკვევს ბელორუსიისა და უზბეკეთის გუნდების შეხვედრის შედეგი.

წარმატებით იბრძოდა მეორე ჯგუფში საქართველოს გუნდი, რომელიც მოსკოვის, უკრაინისა და ესტონეთის გუნდებთან ერთად ფინალში გავიდა.

◆

წერილების კვალდაკვალ

„მოედანია თუ სანახირე?“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 13 ივლისის ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი, რომელიც ამხელდა ოჩამჩირის ფეხბურთის მოედნის მოუწყობლობას.

როგორც საქართველოს ალკკ ოჩამჩირის რაიკომის მდივანი ამხ. ბენიძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ამჟამად მიღებულია ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ინიციატივა დახმარებას მოკლებულია

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა ზესტაფონის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის ოთახის კარებს საშუალო ტანის პირხმელი, მამაკაცი მიუახლოვდა, მორიდებით დააკაკუნა და შევიდა.

— თუ დამეხმარებით ზესტაფონში მოფარიკავეთა სექციას ჩამოვაყალიბებ. — მიმართა თავმჯდომარეს შემოსულმა. მცირე საუბრის შემდეგ სექციის შექმნა გადაწყდა. ეს იყო 1948 წლის ოქტომბერში. დიდ დაბრკოლებათა გადალახვის შემდეგ სიმონ საყვარელიძემ თავი მოუყარა სპორტის ამ სახეობით დაინტერესებულ ბავშვებს. სექციაში შემსვლელთათვის მხოლოდ ერთი პირობა იყო დაწესებული. ბავშვი უნდა ყოფილიყო სწავლის მოწინავე და დისციპლინიანი. მეცადინეობის მსურველთა რაოდენობა 500-ს ასცილდა. სექციამ ინტენსიურად დაიწყო წვრთნა და მალე, რამდენიმე თვის შემდეგ მოპოვებულ იქნა პირველი წარმატება. 1949 წლის ივნისში ზესტაფონის გუნდმა ჭაბუკთა შორის მეორე ადგილი მოიპოვა რესპუბლიკაში. ქალთა II საშუალო სკოლის მოსწავლე ქუქუნა დოლონაძე ჩემპიონი გახდა რაპირაში, ხოლო ე. მუმლაძემ — II და ქ. ბუცხრიკიძემ — III ადგილები მოიპოვეს.

1951 წლის აგვისტოში სსრ კავშირის ფარიკაობის სექციის გადაწყვეტილებით ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებაზე, რომელიც რიგაში ჩატარდა დაშვებულ იქნა ზესტაფონელი მოფარიკავენიც. მათ აქ გამოავლინეს მაღალი ოსტატობა და პირად პირველობაში საპრიზო ადგილები დაიკავეს. ლიანა შეყრილაძემ მეორე ადგილი დაიკავა ესპანდრონით ბრძოლაში. ჭაბუკთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ჯონდო მაჭავარიანი. მანვე მოიპოვა III ადგილი რაპირაში. შეჯიბრების შემდეგ ზესტაფონელმა მოფარიკავეებმა ჩაატარეს საჩვენებელი გამოსვლა იმ იარაღებით, რომლითაც მათ ისწავლეს ფარიკაობა, რამაც დამსწრეთა შორის აღტაცება გამოიწვია.

საქართველოს მოფარიკავეებმა ახალი წარმატება მოიპოვეს მიმდინარე წლის ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებაში. მათ საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. ზესტაფონელმა ჯ. მაჭავარიანმა კი ჩემპიონობა შეინარჩუნა.

როგორც ვხედავთ ზესტაფონის ფარიკაობის სექციას მდიდარი წარსული და უფრო კარგი მომავალი აქვს. მაგრამ საინტერესოა გავეცნოთ თუ რა პირობებში უხდებოდათ მათ მუშაობა, როგორ აღიზარდნენ იქ ჩემპიონები, თანრიგოსნები.

ჩამოყალიბების დღიდან სექციას მუშაობა უხდება არანორმალურ პირობებში. რამდენიმე რაპირა და ესპადრონი, რომლებიც საყვარელიძეს ჰქონდა, მალე გამოვიდა მწყობრიდან, ინვენტარით მომარაგების შესახებ რამდენიმე თხოვნა ამაოდ დარჩა. მაშინ სექციის წევრები შეიარაღდნენ ნედლი ან წყ-ლში დასველებული შინდის და ბროწეულის წკეპლებით და წვრთნა განაგრძეს. არ ჰქონდათ ჩაფხუტები, მკერდსაფარები, ხელთათმანები. ეს დაბრკოლებაც დაძლეული იქნა. ისინი (ჩაფხუტებს გარდა) თვით ბავშვებმა შეიძინეს, მაგრამ მთავარი ხელის შემშლელი მაინც ბინის უქონლობა იყო. აქ კი აუცილებლად სჭირდებოდათ ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარება. 1948 წლიდან მრავალი თხოვნა, მრავალი მიმართვა დაიწერა, ბევრჯერ იქნა განხილული საკითხი სათანადო ორგანიზაციების მიერ, მაგრამ საქმეს დღემდე არაფერი ეშველა. სექციები წვრთნას ზესტაფონის ყოველ კუთხეში გადიან. მზიან ამინდში სკოლის ეზოებში, ცუდ ამინდში — აივნებზე ან შემთხვევით თავისუფალ საკლასო ოთახებში პარტებს შუა. ერთხანს სექცია რკინიგზის კლუბში მუშაობდა, კლუბი შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას და სექციისათვის იქ ადგილი ვეღარ მონახეს. უკანასკნელ ხანებში ფარიკაობის სექციას საათები დაუთმეს ფეროშენადნობის ქარხნის დარბაზში, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ სამეცადინოდ მისულებს დარბაზი დაკეტილი დახვდათ, რადგან დარბაზის დატვირთვისათვის განკუთვნილი თანხა ზესტაფონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ არ გადაიხადა. სექცია სამეცადინოდ გადავიდა ქალაქის თეატრის ჯერ კიდევ დაუმთავრებელ შენობაში. ცუდად ნაკეთებ იატაკზე ვარჯიში მტვერს აყენებდა და მეცადინეობას შეუძლებელს ხდიდა. დიდხანს ეძებეს ბინა და ბოლოს „მიაგნეს"... ერთ-ერთი სახლის საკუჭნაოს შეაფარა თავი, შემდეგ ის იყო ზესტაფონში სპორტდარბაზის მოწყობა განათლების სამინისტრომ ითავა. გამოძებნილ იქნა ადგილი და ძველი შენობა, რომლის კაპიტალური შეკეთების შემდეგ შესაძლებელი იყო მისი გამოყენება. შედგა გეგმა, ესკიზი. სამინისტროს ინჟინერმა შავიშვილმა ინახულა პროექტი, ადგილი, მისცა ცოტაოდენი მითითება ფიზკულტურის ადგილობრივ მესვეურებს და საქმეც ამით დამთავრდა.

სექციის ასეთი სავალალო მდგომარეობის შესამოწმებლად აქ 1951 წელს ჩამოვიდა კომისია სპორტის ოსტატ ა. მეიფარიანისა და სპორტის დამსახურებულ ოსტატ ლ. გოლოვნიას შემადგენლობით. კომისიამ გამოთქვა თავისი აზრი, აღრიცხა ყველა ნაკლოვანებანი, ზესტაფონელებს დაპირდა დახმარებას, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არსად ჩანს.

მიუხედავად იმისა, რომ ზესტაფონში ეს ერთადერთი სექციაა, რომელიც ნაყოფიერად მუშაობს და რომელმაც ოცზე მეტი სიგელი და მოწმობა მოუტანა რაიონს, მისადმი დახმარებაზე თავს არავინ იწუხებს.

ო. გელაშვილი,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

სოხუმი — როსტოვი — სოხუმი

აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების ინიციატივით სოხუმის მოტოსექციამ ჩაატარა მოტოგადარბენა მარშრუტით: სოხუმი-სოჭი-ტუაფსე-ნოვოროსიისკი-კრასნოდარი-დონის-როსტოვი-სოხუმი.

დონის-როსტოვში სტუმრებს შეხვედრა მოუწყო ადგილობრივმა სპორტულმა საზოგადოებრიობამ.

შესვენების შემდეგ გადარბენის მონაწილენი სოხუმში დაბრუნდნენ.

• • •

სურათზე: გადარბენის მონაწილენი სოხუმში.

ფოტო ვ. ვახტანგაძისა.

მკითხველთა სიგნალები

სპორტული ბაზების გარეშე

აქ ერთადერთ სპორტულ ბაზას საჭიდაო მოედანი წარმოადგენდა, რომელზეც ხშირად იმართებოდა შეხვედრები მეზობელი სოფლის ფიზკულტურელებთან. ამჟამად გორის რაიონის სოფელ შინდისში არავითარი სპორტული ბაზა არა აქვთ, მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა ჩაშლილია, არ მუშაობენ სექციები. მიწის ნაკვეთზე, რომელზეც მოედნების მოწყობა იყო გათვალისწინებული, მანქანა ტრაქტორთა სადგური მოაწყეს, სამაგიეროდ ნაკვეთის გამოყოფაზე კი არავინ ფიქრობს. შინდისელი ახალგაზრდები სპორტს მდინარე ლიახვის პირას, რიყეზე „ეუფლებიან". შექმნილ მდგომარეობას რატომღაც გულგრილად შესცქერის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაცია და ფიზკულტურის საქმეთა რაიონული კომიტეტი.

ნ. მიკირტიჩიანი.

მდგომარეობა უცვლელია

გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძის ახალგაზრდებს საშუალება არა აქვთ ივარჯიშონ სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ფეხბურთის ერთადერთი მოედანი კეთილმოუწყობელია. იგი პირუტყვის სათარეშოდაა გადაქცეული. ამის შესახებ რაიონული გაზეთის ფურცლებზე ორჯერ მოთავსდა კრიტიკული წერილი, მაგრამ მდგომარეობა კვლავ უცვლელია.

კოლმეურნეობის გამგეობა, კომკავშირის ორგანიზაცია და ფიზკულტურის ძირეული კოლექტივი ანგარიშს არ უწევს ახალგაზრდობის სამართლიან მოთხოვნას.

ვ. კეკელია.

არ ღებულობენ ზომებს

სოფელ ორულუს (ზუგდიდის რაიონი) ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივში ჩაშლილია მუშაობა. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობასა და კომკავშირის ორგანიზაციას შექმნილი მდგომარეობა არ აწუხებთ, დღემდე მათ არავითარი ღონისძიება არ ჩაუტარებიათ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.

ნ. გვაჯაია

კოლმეურნე სპორტსმენთა ასპარეზობა

ამ დღეებში შუახევის რაიონის ახლადმოწყობილ სპორტულ მოედანზე გაიმართა სოფლის ახალგაზრდობის ასპარეზობა მშთ-ს მრავალჭიდში.

თავისუფალი ვარჯიში წარმატებით შეასრულა სოფელ ბარათაულის მეზარდმა სპორტსმენმა გივი მიქელაძემ, რომელმაც 9,5 ქულა შეაგროვა. ამ ვარჯიშის შესრულებაში ასევე კარგი შეფასება მიიღეს მიხეილ აბაშიძემ, მურმან ბერიძემ და მიხეილ პატარიძემ.

სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში გაიმარჯვა სოფელ სამოლეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა შალვა აბუსელიძემ. მანვე მოიპოვა პირველი ადგილი 1.000 მეტრზე რბენაში.

კარგი შედეგები ჰქონდათ დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში დიმიტრი და თამაზ დავითაძეებს. მშთ კომპლექსზე ნორმატივები ჩააბარა 62 კაცმა.

შ. შანიძე

თასი ბურევესტნიკელებმა მოიგეს

სამ დღეს გრძელდებოდა აფხაზეთის ასსრ თასის გათამაშება საწყლოსნო სპორტში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სოხუმის, გუდაუთის, გაგრისა და გულრიფშის გუნდები.

პირველ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ გაგრის „მედიკი" და გულრიფშის ნაკრები გუნდი. მეორე დღეს სოხუმის გუნდმა დაამარცხა გუდაუთის „სპარტაკი" (6:0). სპორტულად საინტერესო გამოდგა სოხუმის „დინამოსა" და „ბურევესტნიკის" გუნდების შეხვედრა. ანგარიშით 8:7 გაიმარჯვა „ბურევესტნიკმა".

მესამე დღის შეხვედრებს შორის აღსანიშნავია „ბურევესტნიკისა" და „სპარტაკის" თამაში. გაიმარჯვა „ბურევესტნიკმა" (6:4).

ამრიგად პირველი ადგილი და აფხაზეთის ასსრ თასი მოიპოვეს სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" წარმომადგენლებმა. **პ. ლეთოდიანი**

გაიმარჯვეს დიცელებმა

გორის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ფიზკულტურისა და სპორტის სექტორმა სკრის, მერეთისა და დიცის საკოლმეურნეო გუნდებს შორის ჩაატარა შეხვედრები ფეხბურთში.

სამი საკოლმეურნეო გუნდის შეჯიბრებაში გაიმარჯვეს დიცელებმა.

ზ. გოლაშვილი

ნეკროლოგი

ი. მ. დიდებულიძე

გარდაიცვალა მწვრთნელი ველოსპორტში, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ილია მიხეილის-ძე დიდებულიძე.

ამხ. ი. დიდებულიძის სახით ჩვენ დავკარგეთ გულისხმიერი მეგობარი, ახალი თაობის აღმზრდელი, ნიჭიერი მწვრთნელი. ამხ. დიდებულიძე სამამულო ომამდე საველოსიპედო შეჯიბრებებში გამოდიოდა და კარგ შედეგებს აღწევდა. დიდი სამამულო ომის დაწყებიდანვე იგი საბჭოთა არმიის რიგებში ჩადგა, მონაწილეობდა გერმანელი ფაშისტების განადგურებაში და მძიმედ იქნა დაჭრილი.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ამხ. დიდებულიძემ კვლავ მოჰკიდა ხელი ახალი თაობის აღზრდას — მუშაობდა მწვრთნელად ველოსპორტში. მის ხელში აღიზარდა ბევრი სპორტის ოსტატი და პირველთანრიგოსანი ველოსიპედისტი.

ამხ. დიდებულიძემ ნათელი ხსოვნა დატოვა ამხანაგებსა და აღზრდილებს შორის.

ამხანაგების ჯგუფი.

გმირი ქალები

15 წლის წინათ, 1938 წლის 24 სექტემბერს, ვალენტინა გრიზოდუბოვამ, პოლინა ოსიპენკომ და მარინა რასკოვამ თვითმფრინავ „როდინათი" განახორციელეს ძირსდაუშვებელი გადაფრენა მოსკოვიდან შორეულ აღმოსავლეთში. მათ 26 საათსა და 29 წუთში დაფარეს 6.450 კილომეტრი და დაამყარეს ქალთა საერთაშორისო რეკორდი.

მოსკოვიდან მდინარე ამგუნის ჭაობიან ველებამდე „როდინა" ფრინავდა 6-7 კილომეტრის სიმაღლეზე და წარმატებით ძლევდა ყველა დაბრკოლებას. როცა თვითმფრინავის ეკიპაჟმა რადიოკავშირი დაჰკარგა და საშუალება აღარ ჰქონდა თავისი ადგილმდებარეობა დედაქალაქისათვის ეცნობებინა, იძულებული გახდა ძირს დაშვებულიყო.

საბჭოთა სამშობლოს დავალებით „როდინას" ეკიპაჟის მოსაძებნად 50-ზე მეტი თვითმფრინავი გაგზავნეს. მამაც მფრინავებს ეძებდა აგრეთვე შორეული აღმოსავლეთის მოსახლეობა. მალე ისინი უვნებლად იპოვეს

1938 წლის 2 ნოემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ვ. გრიზოდუბოვას, პ. ოსიპენკოსა და მ. რასკოვას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ.

ა. თამაზიანი.

საერთაშორისო ტურნირი

მეცხრე ტური გათამაშდა ციურიხში. მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყო საბჭოთა გროსმაისტერების სმისლოვისა და კერესის შეხვედრა. სმისლოვმა პარტიის დასაწყისშივე ხელთ იგდო ინიციატივა და 41-ე სვლაზე დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია.

პაიკის შეწირვით პეტროსიანმა საბოსთან შეხვედრაში მიიღო პოზიციური უპირატესობა, რის შედეგადაც მოიგო მხედარი და პარტია. გელერი შეხვდა რეშევსკის. გელერმა პაიკის შეწირვით შექმნა მწვავე იერიში, მაგრამ ცაიტნოტში ვერ მონახა სწორი გაგრძელება და პარტია ყაიმით დამთავრდა. ძლიერ წინააღმდეგობას უწევდა მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს — ეივეს ნაიდორფი, მაგრამ პარტიის გადარჩენა მაინც ვერ მოახერხა. დანარჩენი პარტიები დაუმთავრებელი დარჩა.

გადადებული პარტიების გათამაშების დღეს თამაშის განუახლებლად შტალბერგი დანებდა ტაიმანოვსა და გლიგორიჩს, ხოლო ტაიმანოვი და ეივე, ბოლესლავსკი და გლიგორიჩი ყაიმზე შეთანხმდნენ. ამავე დღეს გათამაშდა რეშევსკი-კოტოვის გადადებული პარტია. ძველ ინდურ დაცვაში კოტოვმა ითამაშა ახალი სვლა. თეთრებმა ძლიერი გაგრძელება მონახეს. მალე მოწინააღმდეგენი ცაიტნოტში აღმოჩნდნენ. კოტოვი ცაიტნოტში არასწორად თამაშობდა, მატერიალური დანაკლისი განიცადა. პარტია გადაიდო.

მეათე ტურში ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა რეშევსკი-სმისლოვის პარტია. პარტია მეტად სწრაფად დამთავრდა. მანევრული ბრძოლის შემდეგ მე-19 სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. საბომ შავებით იერიში მიიტანა ავერბახის მეფეზე, შეწირა ფიგურა, შემდეგ ეტლი, მაგრამ სასურველ მიზანს ვერ მიაღწია. ბოლოს საბო იძულებული შეიქნა მუდმივი ჭიშით პარტია ყაიმით დაემთავრებინა. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ბრონშტეინ-გელერის პარტია. ოთხი პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

მეთერთმეტე ტურში კერესი შეხვდა რეშევსკის. საბჭოთა გროსმაისტერმა კარგად გაითამაშა დებიუტი და მნიშვნელოვანი უპირატესობა მიიღო. პარტია გადაიდო. სმისლოვის მეფეზე ბრონშტეინმა ფიგურის შეწირვით სამ პაიკში ძლიერი იერიში განავითარა, მაგრამ შემდგომში ვერ შეძლო უპირატესობის გამოყენება. პარტია შეწყდა რთულ პოზიციაში. ავერბახმა მოუგო მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს ეივეს. კოტოვმა დაამარცხა ტაიმანოვი. ბოლესლავსკი-ნაიდორფის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. პეტროსიანს ზედმეტი პაიკი დარჩა შტალბერგის წინააღმდეგ. მცირე უპირატესობით გადადო გელერმა პარტია გლიგორიჩთან.

მეთორმეტე ტურში ყველაზე საინტერესო იყო სმისლოვისა და გლიგორიჩის პარტია, რომელიც გადაიდო. ტაიმანოვმა დაამარცხა გელერი, ნაიდორფმა კოტოვი. მშვიდად ჩაიარა საბჭოთა გროსმაისტერების პეტროსიანისა და ბოლესლავსკის შეხვედრამ, მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე საბო-ეივეს პარტია.

შტალბერგისა და ავერბახის შეხვედრა დაუმთავრებელი დარჩა. შტალბერგს ზედმეტი პაიკი აქვს. ბრონშტეინმა ხარისხი მოუგო კერესს და პარტია გადასდო. მეორე დღეს თამაშის განუახლებლად გლიგორიჩი დანებდა სმისლოვს, კერესი—ბრონშტეინს.

12 ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია. სმისლოვს აქვს 8 ქულა, რეშევსკის — 7,5 ქულა, ნაიდორფს — 7 ქულა, ბრონშტეინს 6,5 ქულა, ბოლესლავსკის, პეტროსიანსა და ეივეს აქვს 6-6 ქულა, კერესსა და ტაიმანოვს 5-5, ავერბახსა და გლიგორიჩს — 5, საბოს—4,5, გელერსა და კოტოვს — 4, შტალბერგს — 2,5 ქულა.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი" თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04387